ი 1/426 PX 4672/1

"A lot changed in my life after I became the leader of our school civics club. A new chapter of active citizenship began for me. I was able to bring new ideas to life with the support of the club. I realize now that as active members of society, we can solve problems that help make the world a better place." - Salome Chaduneli, Leader of the Civics Club in Itria (Shida Kartli region)

"My participation in our civics club has changed my life. Trainings, events, advocacy campaigns, meetings with influential people, interesting discussions, small grants, participation in TV and radio programs - all these activities provide incredible opportunities for me and for all students seeking to find their role in democratic society." - Zaza Zangurashvili, Civics Club Member at Kutaisi Public School #21 (Imereti region).

ACETT really helped improve the depth and breadth of civic education in our school, making the courses more effective and interesting for students." - Tamar Gorgialdze, Civics Teacher at Batumi Public School #20 (Ajara region).



PH International - საქართველო
ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ბ, 1 სართული
თბილისი 0179, საქართველო
ტელ: (032) 299 00 49; (032) 223 33 38

PH International Georgia
17 B Ilia Chavchavadze Ave., 1st Floor
Tbilisi 0179, Georgia
T/F: +995 (32) 2990049; 2233338

www.ph-int.org www.civics.ge www.initiatives.ge

# სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა

# Applied Civic Education and Teacher Training Program







USAID

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

„მას შემდეგ, რაც სამოქალაქო კლუბის ლიდერი გავხდი, ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა და დაიწყო ახალი ეტაპი, რომელსაც აქტიური მოქალაქეობა ჰქვია. მქონდა უამრავი იდეა, რომელთა განხორციელება სამოქალაქო კლუბში მუშაობით შევძელი და მივხვდი, რომ მე, ჩემი კლუბის წევრებთან ერთად ვარ საზოგადოების სრულფასოვანი წევრი და შემიძლია პრობლემების მოგვარება, რათა უკეთესობისკენ შევცვალო გარემო."

სალომე ჩადუნელი, იტრიის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის - „ტოლერანტის" ლიდერი.

„არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ სამოქალაქო კლუბის მუშაობაში ჩართვის შემდეგ ჩემი ყოველდღიური ცხოვრება შეიცვალა. ტრენინგები, აქციები, ადვოკატირების კამპანიები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, საინტერესო დისკუსიები, დებატები, მცირე გრანტების კონკურსი, სატელევიზიო და რადიო გადაცემებში მონაწილეობა – ეს საუკეთესო შესაძლებლობებია, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიყენო. სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა ყველა მოსწავლეს აძლევს საშუალებას დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი დემოკრატიულ საზოგადოებაში."

ზაზა ზანგურაშვილი,
ქ. ქუთაისის №21 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრი

„სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ტრენინგებმა დიდი დახმარება გაგვიწია, რათა საგნის სწავლება უფრო ეფექტური და საინტერესო გაგვეხადა მოსწავლეებისათვის. ტრენინგის მეშვეობით ღრმად ჩავწვდით საგნის არსს და უფრო საინტერესოდ ვაწვდით მას მოსწავლეებს."

თამარ გორგილაძე, ბათუმის №20 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროგრამის შესახებ

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამას ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია PH International (ადრე ცნობილი, როგორც პროექტი ჰარმონია) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. პროგრამის მიზანია გააუმჯობესოს სამოქალაქო განათლების სასკოლო პროგრამის ხარისხი და გაააქტიუროს ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში. პროგრამა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით.

პროგრამა 740 სკოლასთან თანამშრომლობს მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც შეადგენს საქართველოს სკოლების 30%-ს. 2010 წლის შემოდგომაზე პროგრამის ეგიდით განხორციელდა სამოქალაქო განათლების საჭიროებათა კვლევა. აღნიშნული კვლევის შედეგების საფუძველზე დაიგეგმა პროგრამის საქმიანობა. 2010 წლიდან დღემდე პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სამოქალაქო განათლების 4 დამხმარე სახელმძღვანელო კომპლექტი, რომელთა დანერგვა საქართველოს 740 სკოლაში მიმდინარეობს 2012 წლის თებერვლიდან; მომზადდა 50 საათიანი ტრენინგ კურსი სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის და სემინარები სკოლის დირექტორებისთვის, აკრედიტებული ტრენინგ კურსის მეშვეობით 2012 წლის გაზაფხულისთვის გადამზადდა 400-ამდე სამოქალაქო განათლების პედაგოგი.

მთელი საქართველოს მასშტაბით შექმნილია და ფუნქციონირებს 100-ზე მეტი სასკოლო სამოქალაქო კლუბი, შეიქმნა სასკოლო სამოქალაქო კლუბის სახელმძღვანელო, 2012 წლის თებერვლამდე დაფინანსდა 150 მცირე პროექტი სკოლის, მოსწავლეთა და საზოგადოების ინტერესების საკეთილდღეოდ, 270 მოსწავლისათვის ჩატარდა ტრენინგები სოციალურ მედიაში, მოეწყო სამოქალაქო განათლების საზაფხულო ბანაკი 185 მოსწავლისა და პედაგოგისთვის.

შეიქმნა სამოქალაქო განათლების ვებპორტალი www.civics.ge და მცირე გრანტების ინტერნეტპორტალი www.initiatives.ge, შექმნილია სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, იგეგმება სამოქალაქო განათლების პედაგოგთა პირველი ეროვნული კონფერენცია, მოხდება წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგების გამოვლენა და დაჯილდოვება, იგეგმება მოსწავლეთა ტრენინგები დებატებსა და საჯარო გამოსვლებში, საუკეთესო სასკოლო სამოქალაქო კლუბები პროგრამისგან მიიღებენ დახმარებას საჭირო ტექნიკისა და ინვენტარის სახით.

# პროგრამის ძირითადი საქმიანობები

**სამოქალაქო განათლების დამხმარე სასწავლო მასალები:** პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნა და სასწავლო პროცესში დანერგვა. ამ მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა ოთხი პრიორიტეტული თემა:

- თანამშრომლობა საზოგადოებრივი სარგებლისათვის
- თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან
- როგორ გავხდე აქტიური მოქალაქე
- მონაწილეობა სკოლის თვითმმართველობაში

სახელმძღვანელოებში აქცენტი კეთდება სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე, მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვაზე, მოსწავლეთა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობაზე თემისა და სკოლის საჭიროებებისათვის, მოსწავლეთა მიერ ჯგუფური პროექტების მომზადებაზე და მათ განხორციელებაზე.

აღნიშნული სახელმძღვანელოები უსასყიდლოდ გადაეცა პროგრამის 740 პარტნიორ სკოლას. თითოეულმა სკოლამ მიიღო 160 მოსწავლისა და 16 მასწავლებლის წიგნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადება:** 2011 წელს პროგრამის პარტნიორმა ორგანიზაციამ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრმა (CTC), მოამზადა 50 საათიანი ტრენინგ კურსი სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის. ტრენინგ პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2011 წლის მაისში. ამ ტრენინგ პროგრამის ფარგლებში გადამზადდება 740 სამოქალაქო განათლების პედაგოგი. ასევე ტარდება სემინარები სკოლის დირექტორებისათვის სამოქალაქო განათლების სწავლების მნიშვნელობის შესახებ.

ერთკვირიანი ინტენსიური ტრენინგების მანძილზე, პედაგოგები შეისწავლიან თანამედროვე სწავლების ტექნოლოგიებს, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების ეფექტურად გამოყენებას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში. ტრენინგის შემდეგ გაგრძელდება მონაწილე პედაგოგების და დირექტორების მხარდაჭერა და კონსულტირება ტრენინგზე მიღებული ცოდნის პედაგოგიურ საქმიანობაში წარმატებით გამოყენების მიზნით.

**სასკოლო სამოქალაქო კლუბები:** პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციები საქართველოს 11 რეგიონში მუშაობენ სკოლებთან და ხელს უწყობენ სასკოლო სამოქალაქო კლუბების შექმნასა და განვითარებას, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა სხვადასხვა ინიციატივებისა და კონკურსების მხარდაჭერას, მოსწავლეების, პედაგოგების, სკოლის ადმინისტრაციისა და მშობლების მონაწილეობას მცირე გრანტების პროგრამაში, მოსწავლეთა მონაწილეობას სტაჟირების პროგრამებში. სასკოლო სამოქალაქო კლუბები ახორციელებენ პროექტებს თემის, სკოლისა და მოსწავლეების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მთელი საქართველოს მასშტაბით უკვე შექმნილია და ფუნქციონირებს 100 სასკოლო სამოქალაქო კლუბი. პროგრამის განხორციელების მანძილზე პარტნიორ სკოლებში შეიქმნება 300 სამოქალაქო კლუბი. კლუბების ნაყოფიერი საქმიანობისთვის მომზადდა სასკოლო სამოქალაქო კლუბის სახელმძღვანელო. 2012 წელს ყველაზე წარმატებული სამოქალაქო კლუბები პროგრამისგან უსასყიდლოდ მიიღებენ ტექნიკას და სხვა სახის პრიზებს.

**ტრენინგები სოციალურ მედიაში:** სოციალური მედიის სწავლება პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური მედიის, როგორც აქტიური მოქალაქეობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გამოყენებას. სოციალური მედიის ტრენინგები ახალგაზრდებს ეხმარება იმის გააზრებაში, რომ ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია მრავალი სასარგებლო ინიციატივის დაკავშირება და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეების კეთება. სოციალური მედიის კუთხით უკვე გადამზადდა 270 მოსწავლე მთელი საქართველოს მასშტაბით. პროგრამის მანძილზე სოციალური მედიის ტრენინგს გაივლის 780 მონაწილე (მოსწავლე და პედაგოგი). ტრენინგის შემდგომ მოსწავლეები თანატოლებს უზიარებენ მიღებულ ცოდნას თავიანთ სკოლებში. პროგრამის ფარგლებში ცხადდება მოსწავლეთა ბლოგების კონკურსები და ინტერნეტ ვიქტორინები ფეისბუქის გვერდის - სამოქალაქო ინიციატივების მეშვეობით.

**საზაფხულო ბანაკები:** ყოველი წლის ზაფხულში, პროგრამის ფარგლებში ეწყობა საზაფხულო ბანაკები, რომლებშიც ყოველწლიურად მონაწილეობას იღებს 180-ამდე სკოლის მოსწავლე და სამოქალაქო განათლების პედაგოგი. ბანაკი თავს უყრის ყველაზე აქტიურ მოსწავლეებსა და პედაგოგებს სასკოლო სამოქალაქო კლუბებიდან, აძლევს მათ გამოცდილებისა და აზრთა გაზიარების საშუალებას, ეხმარება ერთობლივი პროექტების განხორციელებაში და უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით ისეთ საკითხებში, როგორიცაა მოხალისეობა, დემოკრატიული მოქალაქეობა, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობა, ადვოკატირება, თანამშრომლობა, სასკოლო საკლუბო საქმიანობა და სხვა. პროგრამის განხორციელების მანძილზე სამოქალაქო განათლების ბანაკში მონაწილეობას მიიღებს 950 მონაწილე.

**მცირე გრანტები სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის მიზნით:** მცირე გრანტების ინტერნეტ პორტალის www.initiatives.ge მეშვეობით მოსწავლეებს, პედაგოგებს, სკოლის ადმინისტრაციასა და მშობლებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, რომელიც 450 აშშ დოლარის ფარგლებში აფინანსებს ადგილობრივი თემისათვის სასარგებლო სამოქალაქო ინიციატივებს. მოსწავლეთა მცირე პროექტებში წარმატებით ხდება ადგილობრივი კომპანიების, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩაბმა. გაცემული მცირე გრანტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ინტერნეტ პორტალზე www.initiatives.ge. უკვე დაფინანსდა მოსწავლეთა და სკოლების მიერ წარმოდგენილი 150 პროექტი. პროგრამის განხორციელების მანძილზე გაიცემა 520 მცირე გრანტი.

**სამოქალაქო განათლების ინტერნეტ პორტალი:** www.civics.ge პირველი და ერთადერთი ინტერნეტ რესურსია საქართველოში, სადაც განთავსებულია ელექტრონული რესურსები და მრავალფეროვანი ინფორმაცია პედაგოგების, სკოლის ადმინისტრაციის, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის სამოქალაქო განათლების სფეროში. ინტერნეტ პორტალზე შუქდება სამოქალაქო განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეები, იგი ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობას სამოქალაქო ინიციატივებში და საზოგადოების წევრებს შორის ინფორმაციის გაზიარებას სამოქალაქო განათლების კუთხით განხორციელებული აქტივობების შესახებ. ამავე ინტერნეტ პორტალზე მოცემულია სამოქალაქო განათლების ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომლითაც ხშირად სარგებლობენ პედაგოგები და სხვა დაინტერესებული პირები.

**სხვა აქტივობები:** სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ხელშეწყობის მიზნით, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ბაზაზე დაარსდება სამოქალაქო განათლების ბიბლიოთეკები. ერთ-ერთი ასეთი ბიბლიოთეკა უკვე ხელმისაწვდომია დაინტერესებული პედაგოგებისათვის ქ. თბილისში, გლდანში მდებარე მასწავლებლის სახლში. პროგრამის ფარგლებში ასევე ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, რომელიც პედაგოგებს სთავაზობს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, როგორიც არის ტრენინგები, კონფერენციები, ონლაინ დისკუსიები, რეგიონული შეხვედრები და სხვა. პროგრამის ფარგლებში ასევე იგეგმება ტრენინგები მოსწავლეთათვის დებატებსა და საჯარო გამოსვლებში.









# About Program

The Applied Civic Education and Teacher Training Program (ACETT) is implemented by PH International (formerly Project Harmony) and funded by the United States Agency for International Development (USAID), with support from the Ministry of Education and Science of Georgia. The goal of the program is to improve the quality and scope of school-based civic education and to encourage youth participation in Georgia's civic and democratic processes.

ACETT works with 740 schools across Georgia, totaling 30% of all schools in the country. In 2010, a nationwide Civic Education Needs Assessment was carried out within the scope of the program, which provided a framework for program activities. Since then, supplemental civics textbooks have been produced and are being distributed to all ACETT partner schools to respond to new and growing needs in the civic education sector.

The program has already achieved a number of important successes, including development of a 50-hour accredited training course for civics teachers, as well as workshops for school principals. By spring 2012 400 civics teachers have been trained, 100 school-based civics clubs are up and running, 150 student-led projects have been funded, 270 young leaders have been trained in the use of social media, 185 students participated in summer camps for advanced civics training, a civic education website was developed (www.civics.ge), a civics club manual was produced, and a civics initiatives web portal was launched (www.initiatives.ge). In addition to these extraordinary accomplishments, the National Forum of Civics Teachers was established, through which a country-wide conferences will be held to honor the best civics teacher of the year.

## KEY PROGRAM ACTIVITIES

**Development of Supplemental Civic Education Materials:** The enhancement of civic education materials is a critical element of the program. Program experts identified four priority areas in need of expanded instructional resources, with textbooks being developed on the following topics:

- Cooperation for Social Benefits
- Cooperation with Local Governments
- How to Become an Active Citizen
- Participation in School Self-Governance

Supplemental textbooks produced through ACETT focus on development of practical and applied learning, with an emphasis on student-led projects, current issues and collaboration among community stakeholders. Supplemental textbooks are distributed to all partner schools free of charge. Each school received textbooks for 160 students and 16 teachers.

**Civic Education Teacher Training:** In 2011, the Centre for Training and Consultancy (CTC), an ACETT partner organization, finalized a 50-hour training course for civic education teachers, which received state accreditation in May 2011. The training course will be offered to 740 civics teachers from across Georgia, comprised of a weeklong workshop aimed at introducing teachers to modern participatory teaching methods and new resources to achieve learning goals in civics curriculum. Following trainings, ACETT will continue to support civics teachers to ensure their success as they apply the information from the course in the classroom. Seminars are also be hosted for school principals.



**School-based Civics Clubs:** Program partner NGOs are working in eleven regions of Georgia to assist in establishing and supporting civics clubs to undertake activities that respond to community and school needs. Through the clubs, students are able to participate in youth initiatives, civics competitions and internship programs. One hundred school-based civic education clubs are successfully operating, using an ACETT-developed school civics club manual as a guide. Two hundred additional school-based civics clubs will be established through the program, with the top clubs receiving office equipment and other prizes.

**Social Media Trainings:** ACETT offers training to students on the use of social media, including social networking, blogging and online video, as a means of citizen participation. ACETT's social media trainings help students build online communities of like-minded youth for offline community projects. By the end of 2011, more than 270 students from across the country have already been trained through ACETT, and are sharing their skills and knowledge with peers. Social media trainings will be offered to 780 students through the program. ACETT will also announce blog competitions and online quizzes via its Facebook page (www.facebook.com/civicintiaitives).



**Summer Camps:** Summer camps will be hosted each year for 180 outstanding students and civics teachers from school-based civics clubs. The camps will enable participants to share successes and challenges from their community involvement, as well as collaborate on joint projects. Intensive trainings are held on topics including civic activism, volunteerism, democratic citizenship and school club activities. Summer camps will be hosted for 950 students and civics teachers through the program.

**Mini-Grants Program in Support of Applied Civic Education:** ACETT's mini-grants online portal www.initiatives.ge provides opportunities for students, teachers, school administrations and parents to apply for up to $450 in support of applied civics initiatives that serve local communities. Through the implementation of mini-grants projects, students can collaborate with local government officials, nongovernmental organizations and the private sector. The online portal also contains information about previously funded projects. ACETT will support 520 projects throughout the duration of the program.

**Civic Education Web Portal:** www.civics.ge is the first and only Internet site in the country with civic education resources for teachers, school administrators, students and parents. The portal features daily news about civics and citizenship, and offers resources and networking opportunities to youth interested in playing an active role in their communities. The online library within the site has also become a frequently used resource for all those interested in civic education.

**Other activities:** To support professional development for civic education teachers in Georgia, ACETT established Civics Resource Libraries within Education Resource Centers. Once such library has already been created at Teachers' House in Tbilisi. A National Forum for Civics Teachers, which supports teachers' professional development through trainings, conferences, online discussions and regional meetings, was also founded through the program. Other ACETT-led training will include debate skills and public speaking for students.